# ახალი აღთქმა მონათლეთ ახლავე

New Testament Baptism

ამისათვის ხართ მოწოდებულნი: ქრისტეც ხომ ეტანჯა თქვენთვის და მაგალითიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ: (I პეტრე 2:21)

მოხდა იმ დღეებში,რომ მოვიდა იესო გალილეის ნაზარეთიდან და მონათლული იქნა იოანეს მიერ იორდანეში. (მარკოზი 1:9)

როცა მთელი ხალხი ინათლებოდა და იესოც მოინათლა და ლოცულობდა გაიხსნა. (ლუკა 3:21)

ამიტომ წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით. (მათე 28:19)

ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება; ხოლო, ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრდადებული იქნება. (მარკოზი 16:16)
ქადაგებით მისი სახელით მონანიება ცოდვათა მისატევებლად ყველა ხალხში, დაწყებული იერუსალიმიდან. (ლუკა 24:47)

ამრიგად მტკიცედ იცოდეს ისრაელის მთელმა სახლმა, რომ გახადა უფლად და ქრისტედ ეს იესო, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით." ეს რომ მოისმინეს, გულში მოხვდათ და უთხრეს პეტრესა და დანარჩენ მოციქულებს: „როგორ მოვიქცეთ, კაცნო, ძმანო?" ხოლო პეტრემ უთხრა მათ: „მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს. (საქმეები 2:36-38)

მაგრამ როცა ერწმუნენ ფილიპეს, რომელიც ახარებდა ღვთის სასუფეველსა და იესო ქრისტეს სახელის შესახებ, ინათლებოდნენ მამაკაცებიც და დედაკაცებიც. (საქმეები 8:12)

ვინაიდან მანამდე არც ერთ მათგანზე არ იყო გადმოსული,მხოლოდ მონათლულები იყვნენ უფლის იესოს სახელით. (საქმეები 8:16)

ფილიპემ გახსნა თავისი ბაგეები, დაიწყო ამ წერილით და ახარა იესოს შესახებ. გზა განაგრძეს და მიადგნენ ერთ წყალს. უთხრა საჭურისმა: „აჰა, წყალი. რა მაბრკოლებს რომ მოვინათლო?" ხოლო ფილიპემ მიუგო მას: „თუ მთელი გულით გწამს, შეიძლება." მან უპასუხა: „მწამს, რომ იესო ქრისტე ღვთის ძეა." უბრძანა ეტლი გაეჩერებინათ. ორივენი ჩავიდნენ წყალში, ფილიპე და საჭურისი, და მონათლა იგი. (საქმეები 8:35-38)

...ძმაო, საულ, უფალმა გამომგზავნა მე, იესომ,რომელიც გეჩვენა გზაზე, სადაც მიდიოდი, რომ თვალი აგეხილოს და აღივსო სულიწმიდით." და მაშინვე, თითქოს ქერცლი მოსცვივდა მის თვალებს, თვალები აეხილა, ადგა და მოინათლა. (საქმეები 9:17,18)

ახლა რაღას აყოვნებ? ადექი, მოინათლე, ჩამოირეცხე შენი ცოდვები და მოუხმე უფლის სახელს." (საქმეები 22:16)

და უბრძანა მათ, მონათლულიყვნენ იესო ქრისტეს სახელით. მაშინ სთხოვეს მას,რამდენიმე დღეს დარჩენილიყო მათთან. (საქმეები 10:48)

ერთი დედაკაცი, ქალაქ თიატირიდან, სახელად ლიდია, ძოწეულით მოვაჭრე, ღვთისმოშიში, ისმენდა. უფალმა გაუხსნა გული პავლეს სიტყვების მოსასმენად. როდესაც მოინათლნენ ის და მისი სახლეულნი... (საქმეები 16:14, 15)

...ბატონებო, რა ვქნა, რომ გადავრჩე?" ხოლო მათ უთხრეს: „იწამე უფალი იესო და გადარჩები შენც და მთელი შენი სახლეულიც." უქადაგეს ღმერთის სიტყვა მას და ყველას, მის სახლში მყოფს. იმ ღამეს, იმ საათშივე მან წაიყვანა ისინი, წყლულები მობანა და მაშინვე მოინათლნენ ის და ყველა მისიანი. (საქმეები 16:30-33)

კორინთოში აპოლოსის ყოფნისას პავლემ მოიარა ზემო ქვეყნები, მივიდა ეფესოში და იპოვა ზოგიერთი მოწაფეთაგანი, უთხრა მათ: „თუ მიიღეთ სულიწმიდა, როცა ირწმუნეთ?" მათ კი მიუგეს: „არც კი გაგვიგონია, თუ არსებობს სულიწმიდა." უთხრა მათ: „რითი მოინათლეთ?" მათ უპასუხეს: „იოანეს ნათლისღებით." (საქმეები 19:1-3)

დადიოდა იგი იორდანეს მთელს მიდამოში და ქადაგებდა სინანულის ნათლისცემას ცოდვათა მისატევებლად. (ლუკა 3:3)

ინათლებოდნენ მისგან იორდანეში და აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს. (მათე 3:6)

„მე წყლით გნათლავთ მოსანანიებლად; მაგრამ ჩემს შემდეგ მომავალი ჩემზე ძლიერია, ვისი ხამლის ტარების ღირსიც არა ვარ. ის მოგნათლავთ თქვენ სულიწმიდით და ცეცხლით." (მათე 3:11)

პავლემ უთხრა მათ: „იოანე ნათლავდა მონანიების ნათლისცემით და ეუბნებოდა ხალხს, რომ ერწმუნათ მის შემდეგ მომავალი, ანუ, იესო ქრისტე." ხოლო მათ ესმათ, მოინათლნენ უფალ იესოს სახელით. (საქმეები 19:4,5)

ნუთუ არ იცით, რომ ყველანი, ვინც მოვინათლეთ ქრისტე იესოში, მის სიკვდილში მოვინათლეთ? ამიტომ დავემარხეთ მასთან სიკვდილში ნათლისღებით, რათა, როგორც მამის დიდებით მკვდრეთით აღდგა ქრისტე, ჩვენც ვიაროთ სიცოცხლის განახლებით. (რომაელთა 6:3,4)

მასთან ნათლისღებით დამარხულები მასთანვე აღდექით ღვთის ძალისადმი რწმენით, რომელმაც აღადგინა იგი მკვდრეთით. (კოლასელთა 2:12)